

FROM THE HISTORY OF ONE RITUAL RELATED TO THE DECEASED

მიცვალებულთან დაკავშირებული ერთი რიტუალის ისტორიიდან

Ketevan Barbakadze

Doctor of Pedagogical Sciences,
Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze St., No. 53, 1400, Georgia,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

Abstract. Georgians, like other nations, paid great respect to the "honoring" of the deceased, a practice bound to numerous rituals. Among these is the ritual of "returning" the soul of the deceased to the house, particularly when the death occurred outside due to various accidents. This ritual was described in *Droeba* in 1876 under the pseudonym Leon Dadian, in the letter "Finding the Soul of the Dead." Concealed behind this pseudonym was the young poet, folklorist, and recorder of ancient customs, Akaki Tsereteli. The ritual described here from one part of our country, specifically Samegrelo, has spurred investigation, as many researchers have documented similar practices in different regions of Georgia (S. Makalatia, N. Janashia, D. Giorgadze, T. Ochiauri, N. Kharchilava, and others), though it lacks the generalized treatment we aimed to present in this article.

During the research process, both similar and differing elements of the mentioned ritual were identified, each significant for examining the ethnographic practices associated with the burial of the deceased, which are maintained regularly across various regions of Georgia.

Key words: Deceased; Ritual; Soul searching and returning; Rooster; Lamb; Tulum.

ქეთევან ბარბაკაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

აბსტრაქტი. ქართველები, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ერები, დიდ პატივს მიაგებდნენ გარდაცვლილის „გაპატიოსნებას“, რაც დაკავშირებული იყო მრავალ რიტუალთან. ერთი ასეთია რიტუალი მიცვალებულის სულის სახლში „დასაბრუნებლად“, რაც დაკავშირებული იყო სხვადასხვა უბედურ შემთხვევების გამო სახლის გარეთ გარდაცვლილთან. აღნიშნული რიტუალის აღწერა გამოქვეყნდა კიდევ გაზეთ „დროებაში“ ლეონ დადიანის ფსევდონიმით 1876 წელს წერილში „მკვდრის

სულის მოძებნა”. ფსევდონიმის ქვეშ იმალებოდა ახალგაზრდა პოეტი, ფოლკლორისტი და ძველ წეს-ჩვეულებათა ჩამწერ-აღმნუსხველი, აკაკი წერეთელი.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი ქვეყნის ერთ კუთხეში, კერძოდ, სამეგრელოში აღწერილმა რიტუალმა განაპირობა კიდევ კვლევა, რამდენადაც მსგავსი რიტუალი აღწერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უამრავი მკვლევრის (ს. მაკალათია, ნ. ჯანაშია, დ. გიორგაძე, თ. ოჩიაური, ნ. ხარჩილავა და სხვ.) მიერ, მაგრამ არ ატარებს განზოგადებულ ხასიათს, რისი წარმოდგენაც ვცადეთ წინამდებარე სტატიაში.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა დასახელებული რიტუალის მსგავსი და განსხვავებული ელემენტები, რომელთა წარმოდგენაც მნიშვნელოვანია სადღეისოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაცული მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული პროცესის შესწავლის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: მიცვალებული; რიტუალი; სულის მოძებნა-დაბრუნება; მამალი; ციკანი; გულა.

შესავალი. „ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა სადღესასწაულო ჩვეულებანი გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი ხალხი ბევრჯერ ყოფილა სხვა და სხვა სარწმუნოების გავლენის ქვეშ: კერძოთაყვანისცემის, ცეცხლთ-თაყვანისცემის, ქრისტიანობის და შემდეგ მაჰმადიანობისა. დღეს კი ამ სარწმუნოებების დამახინჯებულ რიტუალებს სხვა და სხვა კუთხეებში შეუფარებიათ თავი და არ იკარგებიან. სამეგრელოს ერთს სოფელში ერთი ძლიერ ახირებული ჩვეულებაა: „მკვდრის სულის მოძებნა,” რომელსაც მდიდრები ასრულებენ ერთის წლის შემდეგ მიცვალებულის დამარხვისა და ღარიბები კი ოთხისა” (წერეთელი, 1960: 240), - წერდა პოეტი, ფოლკლორისტი, აკაკი წერეთელი 1876 წელს გაზეთი „დროების” ფურცლებზე „ლეონ ვამეხის ძე დადიანის” ფსევდონიმის ქვეშ გამოქვეყნებულ წერილში „მკვდრის სულის მოძებნა”. აღნიშნულ წერილს პირველად მიაკვლია ფოლკლორისტმა თ. ჯაგოდნიშვილმა, მაგრამ ჩვენი ყურადღება სწორედ ამ რიტუალის სპეციფიკამ განაპირობა, რაც გავრცელებული ყოფილა მსოფლიოს სხვადასხვა ერებში. მიცვალებულის სულზე ზრუნავდნენ ძველი ეგვიპტელები, როდესაც უზარმაზარ პირამიდებს აგებდნენ და იქ უქმნიდნენ ფარაონს კარგ ცხოვრებას საიქიოს, ინდუსები მდინარე განგში აგებდნენ ქალღმერთ კალის თიხის ფიტულს და სხვ. როგორც ცნობილი ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს: „სული ადამიანს ჰგავს, იგი საჭიროებს საჭმელ-სასმელს და ცოცხლებთან ურთიერთობას. სულები პატივისცემას მოითხოვენ. რაიმე სტიქიური შემთხვევის დროს ან უცაბედად დაღუპულის სული დაბრუნებულ უნდა იქნას სამშობლოში. ეს სხვადასხვა საშუალებით შეიძლება: ამ მიზნით აფხაზეთში „სულის დაჭერა” იცინ, სვანეთში - „სულის გადმოსვენება” (ჩიქოვანი, 1946: 230).

აკაკი წერეთლის წერილში 1874 წელს სამეგრელოში ნანახი რიტუალია აღწერილი, მაგრამ მას ახლავს სასულიერო პირის იუმორისტული სახეც, რომელიც ივსებს ხურჯინს მიცვალებულის სულის მისაგებად გადადებული სუფრის ხორაგით. სამეგრელო ერთი მათგანია, სადაც, „მკვდრის სულის” სახლში დასაბრუნებელი რიტუალი არსებობდა და ახლაც, 21-ე საუკუნეშიც არსებობს. მაგრამ მარტო აქ არ არის წარმოდგენილი, როგორ უნდა იქნას მიცვალებულის სულის მოძებნა. მოგვიანებით, ისტორიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ 1897 წელს ჟურნალ „მოამბის” თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ეთნოგრაფიული მასალა „აფხაზები”, რომელშიც ის შენიშნავს, რომ: „აფხაზის აზრით, კაცი ორნაირადა ჰკვდება, თუ წყალში დაიღრჩო: ჯერ ერთი სიკვდილი ის არის რომ კაცი ხორციელადა ჰკვდება და მეორეც - მისი სული ვედარ იპოვის ბინას იქ, სადაც მისთა წინაპართა სულნი განისვენებენ (ჯანაშია, 1897: 66).

აქვე მკვლევარი დეტალურად აღწერს როგორ ხდება „მკვდრის სულის“ სახლში წაბრძანება: „მთელი სოფელი შეიყრება იქ, სადაც ულმოხელის წყალის მსხვერპლი გახდა საცოდავი კაცი. სიმღერით აბრეშუმის მშვენიერს და მაგარს ბაწარს გადაჭიმავენ მდინარის ერთ ნაპირიდან მეორემდე და ამაზე შუა ალაგას ძალიან წმინდა და უხმარ გუდას მიაბამენ ისე, რომ წყალი მას არ შეეხებოდეს. ამ გუდის მიბმაზე ამბობენ: „ამა და ამ კაცის ტკბილო სულო (კაცის სახელი უნდა სთქვან), შენი შინ წასაბრძანებლად მოვედით ჩვენა! წამობრძანდი, წამოგვეყვი შინა: იქ დაგხვდებიან, ვინც გიყვარდა და ვისაც უყვარდი! წამობრძანდი და წამოგვეყვი: გაიხარე და გაგვახარე ჩვენცა!“ გუდას თავი უნდა ჰქონდეს გახსნილი. გუდას რომ მიაბამენ, ხალხი გაიყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი ერთ ნაპირზე დადგება და მეორე ნაწილი - მეორეზე. აი აქ უნდა გააჩაღონ სიმღერა და ცეკვა-თამაში, ამ შეთხვევის შესაფერი. მწუხარებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს: ჯერ იმიტომ, რომ ამ დღეს ერთი ეული, უსავანო სული აფხაზთაგანისა უბრუნდება მათს წინაპრებს, რის გამოც ყველას მართებს სიხარული, და მეორეც იმიტომ, რომ მწუხარებამ, შეიძლება, შეაშინოს სული და არ „ჩაბრძანდეს“ მისთვის გამზადებულ სუფთა გუდაშიო. ამიტომაც ნაპირებზე გაჩაღებული ცეკვა-თამაში და სიმღერა: აქ ბრმა და მოხუც მეჭიანურესთან („აფხიარცა - არჰვაჯუ“) შეგროვილან დროულნი კაცნი და ჭიანურის („აფხიარცა“) ხმაზე დიდინებენ. იქ - ახალგაზრდა მზეთუნახავი უკრავს ჩანგურს („აჩანგურ“) და მისს გარშემო მდგარ ახალგაზრდათა გუნდი ორისავე სქესისა ბანს აძლევს. მესამე ალაგას კიდევ სხვა წრე შემდგარა და სიმღერა-თამაშშია გართული.

უფროსებად ამორჩეულნი კაცნი ამათს მხიარულებას განაგებენ და თვალს ადევნებენ, როდის შებრძანდება გუდაში ტკბილის ხმით მოხიბლული და გახარებული საწყალი სული დამხრჩვალის კაცისა! როცა შეამჩნევენ - გუდა „იბერებაო“ (სულის შებრძანების ნიშანი), უფროსები აძლევენ ნიშანს, რათა მომღერალთ და ჩანგურ-ჭიანურზე დამკვრელთ უფრო დაამდაბლონ ხმა, უფრო ნაზად და წყნარად იმღერონ: შესაძლებელია, მეტის-მეტმა მხიარულებამ შეაშინოს ეული სული და არ „შებრძანდეს გუდაში და მით საუკუნოდ დარჩეს უთვისტომოდ და ამით გამოწვეულ ტანჯვა-ვაებაში! (ჯანაშია: 67). თითქმის იგივე რიტუალი აღწერილია უჩა დვალიშვილსა და ნინო ხარჩილაგასთან. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ როგორც მკვლევარი ნ. ხარჩილაგა აღნიშნავს, გალის რაიონში მიცვალებულის სულზე ზრუნვას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან.

„ეთნოგრაფიული მასალებით ბოლო პერიოდში (იგულისხმება 1993 წლიდან დღემდე პერიოდი) ძალიან ხშირად დასტურდება გალის რაიონში წყალში დამხრჩვალი ადამიანის „შურიშ მოყუნაფა“ - სულის მოყვანის წესი“ (ხარჩილაგა, 2023: 130).

აფხაზური და მეგრული რიტუალები ემსგავსება ერთმანეთს, თუმცა მცირეოდენი განსხვავებებიც აღინიშნება. სერგი მაკალათიას ინფორმაციით წყალში დამხრჩვალ ადამიანის სულის მოსაყვანად სამეგრელოში ასეთ წესს ასრულებდნენ: „იქ სადაც ადამიანი დაიხრჩობოდა, წაიღებდნენ ჩონგურს და დაუკრავდნენ. შემდეგ წყალში ციკანს ჩააგდებდნენ, დაახრჩობდნენ და იტყოდნენ: „სული ჩვენი, ანგელოზო დაგვიხსნია და ეშმაკს კი ციკანი ყავდესო“ (მაკალათია, 1941: 290).

აფხაზურ „სულის დაჭერაში“ სწორედ სანახაობრივი მხარეა მიმზიდველი. მასობრიობა და სიკრეტულობა მისი ნიშანია და ამ ცერემონიის განმგებლობა სავსებით შეგვიძლია უძველეს ქართულ და არაქართულ ცერემონიებს შევადაროთ“ (დვალიშვილი: 22). უძველესი კი დღესაც გრძელდება გალის რაიონსა და სამეგრელოში, თუმცა, მკვლევარი უ. დვალიშვილი ამ რიტუალის არსებობას, ძირითადად, ზღვების, ტბების, მდინარის პირად მცხოვრებთა ადათად მიიჩნევს, იგი გვხვდება სვანეთშიც, ქართლშიც და თუშ-ფშავ-ხევსურეთშიც, რასაც ადასტურებენ სხვადასხვა მკვლევარები თავიანთ ნაშრომებში, თუმცა ჯერ-ჯერობით ვერ მოვიძიეთ რაჭა-იმერეთის, გურია-აჭარასა და კახეთსა და ქვემო ქართლში. მიზეზი ამ რიტუალის არსებობისა უნდა ვეძებოთ თავად

ხალხის რწმენებში სააქაოსა და საიქიოს არსებობის შესახებ, როცა იგი ერწყმის ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალებს მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად.

აკაკი წერეთლის წერილში სამეგრელოში მკვდრის სულის მოსაძებნად ჩატარებული რიტუალის აღწერა მარტივია: აქ ყურადღება გამახვილებულია, ძირითადად, საფლავზე ნიშნის დატირებასა და სხვადასხვა პირუტყვის (დედლების, ნეზვების და ძროხების) დაკვლაზე, რაც გარდაცვლილის სქესთან იყო ასოცირებული. თავად აღწერა არ შეიცავს რიტუალის ძირითად ელემენტებს, რომელიც დღესაც გრძელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კერძოდ იმერეთში, თუმცა როგორც სხვიტორში პოეტის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები, (აკაკის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შემსწრეთა მოგონებებზე დაყრდნობით) ჰყვებოდნენ, მის პატივსაცემად ჩამოსულან ძიძიშვილები (მანო სადუნაშვილისა და ფარსადან ყანჩაველის შვილები - წარმოშობით ქართლიდან) შავ ნაბადგადაფარული ცხენებით, რასაც XVII საუკუნეში თვით იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც აღწერს სამეგრელოში ყოფნისას. ზემოთქმულზე ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი ნინო აბაკელია: „სამეგრელოში წესად ყოფილა საფლავში მიცვალებულის ცხენის ჩაყოლება, რომელსაც სულეთშიც უნდა განეგრძო თავისი სამსახური პატრონისათვის...მოგვიანებით ამასაც აღარ აკეთებდნენ და სჯერდებოდნენ იმას, რომ მიჰყავდათ შავით შემოსილი ცხენი გარდაცვლილი პატრონის საფლავთან; ცხენი მანამდე ჰყავდათ გაჩერებული, სანამ მის პატრონს მიწას არ მიაბარებდნენ, შემდეგ ისევ სახლში მიჰყავდათ” (აბაკელია, 2000: 12).

ასე, რომ ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ტრადიციიდან ზოგი მივიწყებას ეძლეოდა ხალხში, ზოგი კი გრძელდებოდა, ამიტომ, მიუხედავად უამრავი ეთნოგრაფიული ჩანაწერისა, არ ჩანს მკვდრის სულის მოძებნის (დაჭერის) ტრადიციების აღწერა-შედარება მონოგრაფიულად, რაც წარმოდგენილი იქნება ნაშრომის ძირითად ნაწილში მათი მსგავსება-განსხვავების, საერთო ნიშნების გამოყოფით.

მეთოდები. მოცემულ ნაშრომში გამოყენებულ იქნა შედარებით-ტიპოლოგიური და შედარებით-ისტორიული კვლევის მეთოდები.

მსჯელობა და შედეგები. მიცვალებულის სულის მოძებნა (დაჭერა) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, უმთავრესად, დაკავშირებული იყო სახლის გარეთ, წყალში დამხვრჩვალ (ზოგან თვითმკვლელ) უბედური შემთხვევის მსხვერპლ, უგზო-უკვლოდ დაკარგული მკვდრის სულის მშობლიურ მიწაზე დაბრუნების მცდელობასთან. ყოველივე ზემოთხსენებულ მოვლენას ძველი ქართველები ეშმაკის ქმედებით ხსნიდნენ და ამდენად, მიცვალებულის დაბრუნებაც სწორ, გამართლებულ საქმედ ითვლებოდა. „ხალხური რწმენით დამხვრჩვალს ეშმაკი დაპატრონებიაო და ამაზეა ნათქვამი: „ეშმაკმა სთქვა - ხიდან ჩამოვარდნილი და წყალში დამხვრჩვალი ჩემი იყოსო. ხოლო ვინც ხეზე ასვლისას პირჯვარს დაიწერს, იგი ღვთისა იყოს“-ო” (მაკალათია, 1941: 290). გარდაცვლილი მიცვალებულის სული რომელიმე ცხოველსა, ან ფრინველში დროებით ჩასახლებული საჭირო საგნების თანხლებით ბრუნდებოდა სახლში, ან იმიტირებულ სამარესთან სასაფლაოზე, ასეთ შემთხვევაში ძირითად „როლს“ ასრულებდნენ მამალი, შავი ციკანი (ან თხა), დროშიანი ადამიანი (მედროშე). მამალი გვხვდება რიტუალის აღწერისას აფხაზურ, მეგრულ ცერემონიალში. მაგალითად, გალის რაიონში: „ადამიანი წყალში თუ დაიხრჩობოდა და იპოვიდნენ, სადაც დამხვრჩვალი იპოვეს იქ მოსაღამოვებულზე წავიდოდნენ, წაიღებდნენ ღვინოს, ფანდურს, თეთრ ძაფს და მამალს წაიყვანდნენ. იმ ადგილას რომ მივიდოდნენ დაუკრავდნენ ფანდურზე და გარდაცვლილის სულს შეეხვეწებოდნენ წამოყოლოდა სახლში. ამ დროს მამლის მოქმედებას აკვირდებოდნენ, თუ მამალი სახლის მიმართულებით წავიდოდა

ჩათვლიდნენ, რომ მათ სული მიყვებოდა. გზაში ღვინოს მიმოსხამდნენ, მხიარულობდნენ და თან თეთრი ძაფიც მიჰქონდათ. სახლში იმ ოთახში შევიდოდნენ, სადაც მიცვალებული ესვენა, მამალს ოთახში გაუშვებდნენ, ძაფის ერთ ბოლოს მიცვალებულს გულზე დაადებდნენ და ისევ მამლის მოქმედებას აკვირდებოდნენ. მამალი თუ გარდაცვლილს მიუახლოვდებოდა ჩათვლიდნენ რომ სული წამოყვათ. ეს მამალი მეშვიდე ან მეცხრე დღეს უნდა დაეკლათ მკლავის გახსნის - „კილემ განწყუმუს“ საკურთხისთვის” (ხარჩილავა, 2023: 131).

სვანურ რიტუალში: „გაემგზავრება ორი კაცი: ერთს მიაქვს ჭიანური, მეორეს მიჰყავს მამალი და მივლენ იმ ადგილს, სადაც გარდაიცვალა სვანი, რომლის სულის გადმოსვენებასაც აპირებენ. იქ დაიწყებენ სიარულს, ერთი უკრავს ჭიანურს, მეორე, რომელსაც მამალი უჭირავს ხელში, უკან მიჰყვება. აგრე დადიან ისინი, სანამ მამალი არ დაიყვილებს, რაც ნიშნავს მიცვალებულის სულის პოვნას, მაშინ ის, რომელიც ჭიანურს უკრავს, გამოუძღვება ჭიანურის კვრით წინ და მოდიან თავის სახლისაკენ. ხშირად სულის მძებნელნი სამი-ოთხი დღე დადიან და მამლის ყვილს ელიან. მამლის სიჩუმე სულის არპოვნას ნიშნავს” (ჩიქოვანი, 1946: 182).

კინორეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანიც თავის ინტერვიუში ეკა სალადაიასთან (22.04.2010) კითხვაზე, რასთან არის დაკავშირებული სულის მოყვანის ტრადიცია (ფილმში „სვანი“), ასეთ პასუხს იძლევა: „როდესაც კაცი გარდაიცვლება სადღაც, მოშორებით თავის სახლიდან, და მოასვენებენ, ფაქტობრივად გვამი მოაქვთ ოჯახში, სული კი იმ ადგილას რჩება, სადაც დაიღუპა. მე ბევრჯერ მინახავს სულის მოყვანა. სასწაულია, რომ დაინახოთ ყოველივე, თმა ყალფზე დაგიდგებათ. დღემდე ჰყავს სულის მოყვანის რიტუალს მიმდევრები. ასეთი რიტუალი იაპონელებსაც ჰქონიათ და ევროპელებსაც, თუ არ ვცდები შოტლანდიელებს. როდესაც იმ ადგილას მამალს გაუშვებენ, სადაც ადამიანი დაიღუპა, რიტუალის დამსწრე ოჯახის ყველა წევრი კარგ ხასიათზე უნდა იყოს.

- იმიტომ, რომ სული შეშინებულია. იქ მყოფთა შორის შავი არავის არ უნდა ეცვას, მხიარულ ფერებში უნდა იყვნენ შემოსილნი. ეს აუცილებელი პირობაა, თორემ სული არ წამოვა. იწყებენ გალობას. რამდენჯერ ყოფილა, როდესაც მამალს გაუშვებენ, რა საჭმელიც უყვარდა მიცვალებულს, იმას უდებენ. თუ ნამდვილად იმ ადგილას ამოუშვა სული მიცვალებულმა, გაშვებული მამალი მაშინვე იწყებს საკვების კენკვას, რის შემდეგაც ჩაიმუხლება ზუსტად იმ ადამიანთან, რომელთანაც ყველაზე ახლოს იყო მიცვალებული. შემდეგ ხელში აიყვანენ ეფერებიან.

- რამდენიმე წლის წინ ერთი ახლობელი რესტორანში მოკლეს ჩხუბის დროს. რომ მიიყვანეს მამალი რესტორნის ეზოში – სული იმ ადგილას არ აიყვანა. შემდეგ წამოიყვანეს და საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე, სადღაც შუაში აიყვანა მამალმა სული. ამის შემდეგ მოდიან სახლში, მამალს ეზოში გაუშვებენ და კიდევ იწყება გალობა, უკრავენ ფანდურს... მამალი შედის ოთახში და წარმოგიდგენიათ, ექვსი-შვიდი საწოლიც რომ იდგეს ოთახში, მაინცდამაინც მიცვალებულის საწოლზე ადის, იქ დაიფერთხება და გამოდის გარეთ” (სალადაია, 2010).

„მიცვალებულის სულის დაბრუნებას” სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: „მკვდრის სულის მოძებნა”, „მიცვალებულის სულის მოყვანა”, „სულის დაჭერა” (აფხაზეთი), „მურიმ მოყუნაფა“ (სამეგრელო), „სულის გადმოსვენება” (სვანეთი), „სულის ჯსნა”/„სულთმოსხმა” (ხევსურეთი), „სულთმორეკვა” (თუშეთი) „სულის გამოხსნა“ (ფშავში). ეს რიტუალი დაკავშირებულია ფრინველსა, ან მსხვილფეხა ცხოველთან, რომლებშიც დროებით ჩასახლდებოდა მოყვანილი სული.

მეგრულ, სვანურ რიტუალებში „სულის მოყვანა” დაკავშირებულია მამალთან, თუმცა, როგორც ეს მამალი შეფერილობით (თეთრი თუ წითელი) მინიშნებული არაა.

მამლის მაგივრობას ადრე, თურმე, ციკანი ეწეოდა. ნინო ხარჩილავას ცნობით, „უხუცესთა მეხსიერებაში შემორჩენილია ფაქტები, რომ სულის მოყვანის დროს აუცილებლად უნდა გამოიყენონ ჩონგური და ციკანი, მაგრამ გამოთქვამენ გულისწყრომას, რომ დღეს სად ნახავს ადამიანი გალში ჩონგურს და ციკანიც ვერ მიჰყავთ რიტუალის შესასრულებლად. სულის მოყვანის რიტუალში ჩონგურის და ციკანის მონაწილეობას ადასტურებენ თ. სახოკია და ს. მაკალათიაც” (ხარჩილავა, 2023: 131).

სამაგიეროდ ციკანი (შავი თხა) შემორჩენილია ქართლურ და მთის ხალხების რიტუალებში (თუმ-ფშავ-ხევსურეთი). „სულის გამოხსნის ჩვეულება მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. რეგიონალური სახესხვაობების მიუხედავად, რიტუალის მიზანი ერთია - ადამიანის სულის სანაცვლოდ ეშმაკებს ცხოველის სული მისცენ. გაანთავისუფლონ მისგან თავისი მიცვალებული და მამა-პაპის საფლავ-სამარეს მიაბარონ. ქართლში ეს ჩვეულება დღემდე ცოცხალია: თავ-ჩამომხრჩვალის, წყალში დაღუპულის და ა.შ. სულის გამოსახსნელად იმ ადგილას, სადაც ეს უბედური შემთხვევა მოხდა, მიჰყავთ შავი ფერის თხა და კლავენ. ზოგ სოფელში დაუკლავად ახრჩობენ და იქვე ტოვებენ, ზოგან წყალში აგდებენ, ზოგან ასო-ასო ჭრიან და ხელუკუღმა ყრიან, ზოგან მხოლოდ თავს აგდებენ წყალში, ზოგან მხოლოდ სისხლს უშვებენ წყალში და ხორცს ხალხს აჭმევენ. თხის დაკვლას და გადაყრას ახლავს სიტყვები - სულში სულს გაძლევთ, ხორცში ხორცს გაძლევთ (ეშმაკს ეუბნებიან), დაიხსენი ღმერთო- ღმერთს ევედრებიან.

ეშმაკისთვის დაკლული თხის ხორცის ჭამას ერიდებიან. ეშმაკებს უკლავენ და რომ შეედავოსო? ერთ-ერთი მთხრობელი გვიამბობს თუ როგორ დაენანათ დაკლული თხის გადაგდება და სახლში წაიღეს პატრონებმა. ღამე ძილში მიცვალებული გამოეცხადათ და რატომ დაგენანათ ჩემთვის, ჯერაც ისევ წყალში ვბანაობო.

სულის გამოხსნის შემდეგ, მიცვალებულს ყველა იმ წესებს უსრულებენ, რაც ჩვეულებრივ გარდაცვლილს.

სულის გამოსახსნელად თხის დაკვლას მთხრობელები იმით ხსნიან, რომ თხა ღვთისგან ნაკურთხი არ არის, საღვთოში არ ურევია, საღვთო ცხოველებად ცხვარი, ძროხა, ხარი, მოზვერი ითვლებო (ოლღა (ოლა) აზარაშვილი, 84 წ. ს. ღოთუბანი, 24. IV. 1984 წ.)” (ოჩიაური, 1987: 24).

„ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში ფართოდ იყო გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმადაც, სიკვდილს იწვევდა ბოროტი სული. ეს რწმენა განსაკუთრებით კარგად მჟღავნდება უბედური შემთხვევებისაგან გარდაცვლილთა სულის გამოხსნაში, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ კარატის ჯვარი (ხევსურეთი, თუშეთი) და იახსრის ჯვარი (ფშავი). „სულის გამოსახსნელად” საგანგებოდ ეშმაკებოდნენ: ოჯახში ლუდს ადუღებდნენ, არაყს ხდიდნენ, ხმიადებს აცხობდნენ.

ხევსურეთში ჭირის პატრონი მოგვარეს გააგზავნიდა ლიქოკის კოპალა კარატის ჯვარის მედროშესთან და შეუთვლიდა: „დაღუპული ვარ, შეიძლება ეშმაკებისაგან იყოს მკვდარი, სული უნდა გამოვიხსნაო”. ძღვნად აუცილებლად წელგამოვლილ ჭედილას, ლუდს, არაყს, ფულს გაუგზავნიდა. მედროშე ხატის ერთ-ერთ მსახურს - დასტურს - იახლებდა, ხელში კოპალა კარატის ჯვარის დროშას დაიჭერდა და გზას გაუდგებოდა, თუმცა მას წინდაწინ არ ეუბნებოდნენ, თუ სად, რა ადგილას მოხდა უბედური შემთხვევა: ხალხის რწმენით, ეს თვით დროშას უნდა გამოეცნო. როდესაც შემთხვევის ადგილს მიუხალოვდებოდა, მედროშეს მოუსვენრობა დაეტყობოდა, იგი ზოგჯერ წყალში გადასახტომად, კლდეზე გადასაჩეხად იწვევდა, მაგრამ დასტური აკავებდა. ბოლოს „დროშა მიიყვანდა” იმ ადგილას, სადაც უბედურება მოხდა. აქ მედროშე დიდხანს დროშის ტარს მიწაზე არტყამდა, დროშას არხევდა, ხმამაღლა სწყევლიდა ბოროტ სულებს, ემუქრებოდა და ითხოვდა დაღუპულის სულის განთავისუფლებას. ბოლოს დაიძახებდა: „ეშმაკებისათვის წამირთმევია სულიო”. ამ დროს ვინმე თანხმლებთაგანი შავ ციკანს დაკლავდა და ხელუკუღმა გადააგდებდა. აქვე სანთელს დაანთებდნენ და

მიცვალებულისათვის შენდობას იტყოდნენ. ამის შემდეგ მედროშე ჭირისპატრონის სახლისაკენ გაემშურებოდა და დროშას ბანზე დაბერტყავდა, რაც სულის სახლში მოყვანას ნიშნავდა. მეთემის სახლში სტუმრად მისულ დროშას ბანზე „დააბრძანებდნენ“, რომელიც ხევსურის სახლში ყველაზე წმინდა ადგილად ითვლებოდა. შემდეგ კი ჭირისპატრონი ხალხს გაუმასპინძლებოდა. უკან დაბრუნებულ მედროშეს და მის თანმხლებ დასტურს 3-4 კგ. სპილენძს ატანდნენ ჯვარის საჭიროებისათვის. გარდა ამისა, ხატიონს რამდენიმე ცხვარსაც აძლევდნენ ხოლმე” (ხიზანიშვილი, 1940: 216). როგორც მკვლევარი დალი გიორგაძე მიუთითებს: „ფშავში „სულის გამოხსნა“ იახსრის ჯვარის ფუნქციებში შედიოდა და ხევსურეთში დამოწმებული წესისამებრ ხდებოდა” (გიორგაძე, 1987: 20).

„თუშეთშიც კოპალა კარატის ჯვარის დროშას მიმართავდნენ „სულის სახსნელად“. ყოველ ზაფხულს, დიდი სახალხო დღეობის „ათნიგენის“ (ათენგენის) წინა კვირას, ხევსურეთიდან ჯვარის მსახურნი, ე.წ. ჯვარიონნი (ექვსი-შვიდი კაცის შემადგენლობით), გადმოდიოდნენ თუშეთში, თან ხახმატისა და კოპალა კარატის ჯვარის დროშები მოჰქონდათ. სწორედ ამ დროისათვის ემზადებოდნენ თუშები უბედური შემთხვევისაგან გარდაცვლილ ადამიანთა სულების გამოსახსნელად. ამ მიზნით ისინი კოპალა კარატის ჯვარის დროშას იწვევდნენ. სულის გამოხსნის შემდეგ, რომელიც ხევსურეთსა და ფშავში დამოწმებული ანალოგიური წესით ხდებოდა, კარატის ჯვარის მედროშე ჭირისპატრონის სახლისაკენ გაემშურებოდა. მას წინ თუში მიუძღოდა, რომელიც იძახდა: „მოვალ და მომყავს (გარდაცვლილის სახელი) სულიო“. ოჯახში რომ მივიდოდნენ, ხევსური მედროშე სახლის ყველაზე მაღალ ადგილას სიპზე ავიდოდა და აქ დაბერტყავდა დროშას” (გიორგაძე, თ.გ.: 12).

თითქმის ყველა კუთხის რიტუალში ფიგურირებს თეთრი კოჭის ძაფი, ან აბრეშუმის ბაწარი, რომელსაც თან მოჰყვება მიცვალებულის სული. აქვე ჩნდება გუდაც (აფხაზურ რიტუალში), რომელშიც შედის მდინარეში დამხრჩვალ ადამიანის სული, გუდა იბერება, მოუკრავებ პირს და ამით წამოაბრძანებენ მიცვალებულის სულს სახლში.

რიტუალისთვის ახლობლები და ნათესავები წინასწარ ემზადებიან, აკეთებენ მიცვალებულის საყვარელ საჭმელს (რომელიც შეიძლება აკენკოს მამალმა, თუ სული მოიყვანა სახლში), ტანსაცმელს იცვამენ ღია ფერისა (არა შავს) სვანური ჩანგის თანხლებით.

ზემოთქმული მასალებით აშკარა ხდება, რომ მიცვალებულის დაკრძალვა არაა საკმარისი მის პატივსაცემად საიქიოს „გასამგზავრებლად“. ერთი ასეთია სულის დაბრუნების რიტუალი (თუ სახლში არ გარდაიცვალა), რომელიც უძველეს წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთანაა დაკავშირებული (მაგიური, ასტრალური, ანიმისტური), რომლებიც დროთა განმავლობაში შეერწყა ქრისტიანულს (სასულიერო პირის - მღვდლის დასწრება რიტუალზე სამეგრელოში).

დასკვნა. ამდენად, შედარებამ ცხადყო მიცვალებულის სულის მოყვანის რიტუალის ზოგადქართველური ტრადიცია, რომელიც დღესაც დაცულია სამეგრელოში, გალის რაიონში, მაგრამ ქართლში უახლესი ეთნოგრაფიული მასალით ვერ მოვიძიეთ.

„მიცვალებულის სულის მოყვანის“ წესი დაკავშირებული იყო სათანადო სასიმღერო ფოლკლორთან, რაც ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში არ მოიძებნება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაკელია, ნ. (2000). ციკლური სიმბოლიზმი და დაკრძალვისა და გლოვის წესები დასავლურ-ქართულ ტრადიციაში. *ქართველური მემკვიდრეობა*. IV.

- გიორგაძე, დ. (1987). *დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- გიორგაძე, დ. (თ.გ.). *თუშეთის 1965 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები*.
- დვალიშვილი, უ. (2002). *მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ცეკვები რელიგიურ და სახალხო რიტუალებში*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
- მაკალათია, ს. (1941). *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*. თბილისი.
- ოჩიაური, თ. (1987). *დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სალაღაია, ე. (2010). *როგორია სვანური მხილებისა და სისხლის აღების ტრადიციები და როგორ იმიტირება ბევრი ქართული სიტყვა სვანური დიალექტიდან*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://old.tbilisebi.ge/index.php?newsid=3317>
- ჩიქოვანი, მ. (1946). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.
- წერეთელი, ა. (1960). *პუბლიცისტური წერილები*. ტომი XI. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ხარჩილავა, ნ. (2023). *მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება გალში*. *2021 წლის 23-24 სექტემბერს ჩატარებული კონფერენციის მასალები*. თბილისი.
- ხიზანიშვილი, ნ. (1940). *ეთნოგრაფიული ნაწერები*. თბილისი.
- ჯანაშია, ნ. (1897). *წყალში დამხრჩვალის სულის დაჭერა*. *მომბე*. II.

REFERENCES

- abak'elia, n. (2000). tsik'luri simbolizmi da dak'rdzalvisa da glovis ts'esebi dasavlur-kartul t'raditsiashi [Cycle Symbolism and Burial and Mourning Customs in West-Georgian Tradition]. *kartveluri memk'vidreoba [Georgian Inheritance]*. IV.
- giorgadze, d. (1987). *dak'rdzalvisa da glovis ts'esebi sakartveloshi [Burial and Mourning Customs in Georgia]*. Tbilisi: Publishing house „Metsniereba“.
- giorgadze, d. (n.d.). *tushetis 1965 ts'lis etnograpiuli eksp'editisiis dghiurebi [Dieries from the 1965 Dusheti Ethnographic Expedition]*.
- dvalishvili, u. (2002). *mitsvalebulis k'ult'tan dak'avshirebuli tsek'vebi religiur da sakhalkho rit'ualebshi [Dances Connected to Cult of the Deceased in the Religious and Folk Rituals]*. Candidate Dissertation. Tbilisi.
- mak'alatia, s. (1941). *samegrelos ist'oria da etnografia [History and Ethnography of Samegrelo]*. Tbilisi.
- ochiauri, t. (1987). *dak'rdzalvis ts'esebi kartlshi dzvelad da akhla [Burial Customs in Kartli Then and Now]*. Tbilisi: Publishing house „Metsniereba“.
- salaghaia, e. (2010). *rogoria svanuri mkhilebisa da siskhlis aghebis t'raditsiebi da rogor ishipreba bevri kartuli sit'qva svanuri dialekt'idan [What Are the Svanetian Traditions of Exposing and Blood Collection and How Are Many Georgian Words from Svanetian Dialect Deciphered]*. Retrieved from <http://old.tbilisebi.ge/index.php?newsid=3317>
- chikovani, m. (1946). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.
- ts'ereteli, a. (1960). *p'ublitsist'uri ts'erilebi [Publicistic Letters]*. Vol. XI. Tbilisi: Publishing house „Sabchota sakartvelo“.
- kharchilava, n. (2023). *mitsvalebulis k'ult'tan dak'avshirebuli zogierti tavisebureba galshi [Some Peculiarities Connected with the Cult of the Dead in Gali]*. *2021 ts'lis 23-24 sekt'embers chat'arebuli k'onperentsiis masalebi [Materials of the conference held on September 23-24, 2021]*. Tbilisi.
- khizanishvili, n. (1940). *etnograpiuli nats'erebi [Ethnographic Records]*. Tbilisi.

janashia, n. (1897). ts'qalshi damkhrchvalis sulis dach'era [Catching the Soul of Someone Drowned in Water]. *moambe* [*Moambe*]. II.